

## **„საქართველოს მოქალაქის დაკავება“**

აფხაზმა ე.წ. სამართალდამცავებმა გალის რაიონის სოფელ ფიჩორში მკვლელობაში, ადამიანის გატაცებასა და ყაჩაღურ თავდასხმაში ეჭვმიტანილი პირი დააკავეს. დე ფაქტო აფხაზეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გავრცელებულ განცხადებაში ნათქვამია, რომ დაკავებული 2000 წლის 30 ნოემბერს ჩადენილი დანაშაულისთვის იძებნებოდა.

საქმე ეხება ჭუბურხინჯში 11 პირის მიერ განხორციელებულ შეიარაღებულ თავდასხმას, რომელსაც ოჩამჩირის სოფელ მერკულას მკვიდრი ემსხვერპლა. ამასთან, გამოსასყიდის მიღების მიზნით, მძევლად გულრიფშის მცხოვრები აიყვანეს. აფხაზეთის „გენერალური პროკურატურის“ ცნობით, ერთ - ერთი ეჭვმიტანილი 1970 წელს დაბადებული, გალის რაიონის სოფელ გაგიდას მცხოვრები კობა ოკუჯავა, „ქართული ბანდ ფორმირების წევრია“, რომელიც ამ დრომდე მიმალული იყო.

---

16.10.2017<http://mvdra.org/press/6546/>

## **„ენგურის ხიდზე, ე.წ. აფხაზმა მესაზღვრეებმა 15 ემიგრანტი დააკავეს“**

ოკუპირებული აფხაზეთის სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის პრეს-სამსახურის უფროსის, ასლან სალაყაიას, თქმით, „ეს არის "საქართველო-აფხაზეთის საზღვრის არალეგალურად გადაკვეთის, ერთ-ერთი ყველა მასიური შემთხვევა... უკვე დადგენილია, რომ მათ გარკვეული პერიოდი, საქართველოში გაატარეს და იქიდან აფხაზეთში დააპირეს გადასვლა, რომლის გავლითაც, ასევე, არალეგალურად, რუსეთში მოხვედრას გეგმავდნენ“.

აფხაზი ე.წ. სამართალდამცველების თქმით, ისინი ეგვიპტის, სომალის, იემენისა და სუდანის მოქალაქეები არიან

ასლან სალაყაიას თქმით, ამ ინფორმაციით საქართველოს სპეცსამსახურები უნდა დაინტერესდნენ, თუნდაც იმიტომ, რომ "როგორც ირკვევა, ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების მოქალაქეები საქართველოს ევროპაში არალეგალურად მოსახვედრად იყენებენ და მერეც, ამ საქმეში დაკავებულები პოლიციელის მონაწილეობაზე საუბრობენ".

დე-ფაქტო სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის წარმომადგენლის თქმით, სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანის შენდევ დაკავებულები დეპორტირებულნი იქნებიან საქართველოში.

---

24.10.2017<http://www.apsnylife.ru/syuzhety/99-syuzhety/2113-sqb-ra-zaderzhany-15-narushitelej-gosudarstvennoj-granitsy-respubliki-abkhaziya>

## **„მოსკოვი თბილისს სოხუმთან და ცხინვალთან ძალის არგამოყენების შესახებ შეთანხმების გაფორმებისკენ მოუწოდებს“**

მოსკოვი თბილისს სოხუმთან და ცხინვალთან ძალის არგამოყენების შესახებ შეთანხმების გაფორმებისკენ კიდევ ერთხელ მოუწოდებს.

„მოვუწოდებთ თბილისში ჩვენს კოლეგებს, უარი თქვან ამ რიტორიკაზე, ფორმულირებებით თამაშზე და დაკავდნენ კონსტრუქციული, ნამდვილი სამუშაოთი. ძალის გამოყენებლობის შესახებ შინაარსით ყველაზე ზოგადი განცხადების სწრაფი მიღება საშუალებას მოგვცემდა, შეგვესრულებინა ჟენევის დისკუსიების მთავარი მიზანი - მედვედევი-სარკოზის შეთანხმების შესაბამისად, თბილისსა და სოხუმს, თბილისსა და ცხინვალს შორის ძალის გამოყენებლობის შესახებ შეთანხმებების მიღწევა. ჩვენი აზრით, თბილისში შესანიშნავად ესმით, რომ რეგიონში უსაფრთხოების მექანიზმები უკვე შექმნილია. აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მთავრობების მოწვევით, იქ შესაბამის საერთაშორისო სამართლებრივ საფუძველზე განთავსებულია რუსეთის შეიარაღებული ძალებისა და სასაზღვრო ჯარების კონტინგენტები. ამას გარდა, საქართველოსთან ორივე რესპუბლიკის საზღვარზე

რეგულარულად ტარდება მხარეების, ასევე გაერო-ს, ეუთო-სა და საქართველოში ევროკავშირის სპეციალური სადამკვირვებლო მისიის წარმომადგენლების შეხვედრები. ამ მექანიზმების საშუალებით სხვდასხვა ინციდენტის აღკვეთა და მათზე ადეკვატური რეაგირება ხდება“, - განაცხადა რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალურმა წარმომადგენელმა მარია ზახაროვამ.

---

26.10.2017 <http://tass.ru/politika/4679252>